



საქპატენტი  
SAKPATENTI

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER

წლიური ანგარიში  
ANNUAL REPORT  
2008



ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი  
ს ა ქ ა ა ტ ე ნ ტ ი

**წლიური ანგარიში**  
**ANNUAL REPORT**


თბილისი 2009 TBILISI



# შინაარსი

## CONTENTS

გამომგონებები INVENTIONS .....	4
სასარგებლო მოდელები UTILITY MODELS .....	11
სამრეწველო ნიმუშები INDUSTRIAL DESIGNS .....	15
სასაქონლო ნიშნები TRADEMARKS .....	18
საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები APPELLATIONS OF ORIGIN OF GOODS .....	30
საავტორო უფლებები COPYRIGHT .....	33
მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები NEW VARIETIES OF PLANTS AND ANIMALS .....	36
უფლებების გადაცემა. ლიცენზიები ASSIGNMENT. LICENSES .....	39
დავები DISPUTES .....	41
კანონმდებლობა LAWMAKING .....	45
საერთაშორისო ურთიერთობები INTERNATIONAL RELATIONS .....	47
მრავალმხრივი ხელშეკრულებები MULTILATERAL AGREEMENTS .....	50
ორმხრივი ხელშეკრულებები BILATERAL AGREEMENTS .....	52
საინფორმაციო საქმიანობა INFORMATION ACTIVITY .....	54
ინფორმაციული ტექნოლოგიები INFORMATION TECHNOLOGIES .....	60
გამოფენები EXHIBITIONS .....	63
სტატისტიკური მონაცემები STATISTICAL DATA .....	65



# გაბიგონებები

## INVENTIONS

საქართველოში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხდება უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში "საქპატენტში" განაცხადის წარდგენით ან საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადის საფუძველზე.


2008 წელს საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 463 განაცხადი გამოგონებაზე, რაც 18%-ით ნაკლებია 2007 წელს შემოტანილი განაცხადების რაოდენობაზე. აქედან ადგილობრივი განმცხადებლების მიერ შემოტანილია 222 განაცხადი, რაც დაახლოებით 11%-ით ნაკლებია 2007 წელს შემოტანილთან შედარებით. შემცირებულია საქპატენტში PCT ხელშეკრულების შესაბამისად გამოგონებაზე შემოტანილი უცხოური განაცხადების რაოდენობაც – 215 განაცხადი 2007 წელს შემოტანილი 294-ის ნაცვლად, ანუ დაახლოებით 27%-ით ნაკლები წინა წელთან შედარებით. მხოლოდ უმნიშვნელოდ გაზრდილი უცხოელი განმცხადებლების მიერ უშუალოდ საქპატენტში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა, კერძოდ, შემოტანილია მხოლოდ 26 განაცხადი (გასულ წელს შემოსული იყო 22 განაცხადი).

The exclusive right in an invention in Georgia may be acquired by filing an application with the National Intellectual Property Centre Sakpatenti or on the basis of an international application under the Patent Cooperation Treaty (PCT).

In 2008, 463 applications for inventions were filed with Sakpatenti, which is 18% less than the amount of applications filed in 2007. Of these, 222 applications were filed by local applicants, which is approximately 11% less as compared with the amount filed in 2007. The number of foreign applications for inventions filed with Sakpatenti under the PCT also decreased. 215 applications instead of 294 applications filed in 2007, i.e. approximately 27% less as compared with the previous year. The amount of applications filed by foreign applicants directly with Sakpatenti increased slightly, namely, 26 applications, instead of 22 applications filed last year. Such a considerable decrease of the filed applications is may be due to the global economic crisis.

2004–2008 წლებში შემოტანილ განაცხადთა რაოდენობა  
NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2004–2008

	2004		2005		2006		2007		2008		
აღიშორების	248	54%	225	47%	236	44%	248	44%	222	48%	LOCAL
უცხოური	10	2%	22	5%	38	7%	22	4%	26	6%	FOREIGN
საერთაშორისო	199	44%	228	48%	261	49%	294	52%	215	46%	INTERNATIONAL
სულ	457		475		535		564		463		TOTAL



უშუალოდ საქპატენტში შეტანილი 26 უცხოური განაცხადიდან 11-ში მოითხოვებოდა კონვენციური პრიორიტეტი, ხოლო 14 ეხებოდა ე.წ. შემოტანილ პატენტს. როგორც ვხედავთ, 2007 წლის მსგავსად, შემოტანილი პატენტისადმი განსაკუთრებულ ინტერესს 2008 წელსაც ამერიკელი განმცხადებლები იჩენენ. კერძოდ, განაცხადები შემოტანილ პატენტზე ქვეყნების მიხედვით ასე განაწილდა:

- აშშ – 12;
- შვეიცარია – 2.

აღსანიშნავია, რომ ამათგან 13-ზე არის ევროპის საპატენტო უწყების მიერ გაცემული პატენტი.

2007 წლის მსგავსად 2008 წელსაც შემოსული განაცხადებიდან შემოტანილი პატენტების უმრავლესობა ყვლავ ამერიკის შეერთებული შტატებიდანაა.

როგორც 2004–2008 წლებში საქპატენტში განაცხადების შემოტანის დინამიკა გვიჩვენებს, უცხოური განაცხადების

Of 26 applications for inventions, 11 ones requested convention priority, 14 applications were filed for the so-called importation patent. As in 2007, in 2008 too applicants from the USA displayed special interest in the importation patent. In particular, the breakdown of applications for importation patent according to countries is given below:

- USA – 12;
- Switzerland – 2.

It should be noted that of these applications for 13 ones patents is granted by the European Patent Office.


As in 2007, in 2008 too the majority of applications were filed again from the United States of America.

As the dynamics of filing applications with Sakpatenti in 2004-2008 shows,

2004–2008 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2004–2008 ACCORDING TO COUNTRIES

ქვეყნები COUNTRY	2004		2005		2006		2007		2008	
US	115	25%	143	30%	184	35%	202	36%	108	23%
FR	21	5%	38	8%	35	6%	16	3%	20	4%
DE	12	3%	12	3%	11	2%	8	1%	7	2%
GB	21	5%	6	1%	6	1%	14	2%	14	3%
GE	248	54%	225	48%	236	44%	248	44%	222	48%
IT	11	2%	11	2%	14	3%	7	1%	14	3%
ღანარქანი OTHER	29	6%	40	8%	49	9%	69	13%	78	17%
სულ TOTAL	457		475		535		564		463	



საერთო რაოდენობა (უშუალოდ საქ-  
პატენტში შემოტანილისა და საერთაშორ-  
ისო განაცხადების რაოდენობათა ჯამი)  
2004 წლიდან 2007 წლამდე უწყვეტად  
იზრდება, ხოლო 2008 წელს თითქმის  
24%-ით მცირდება 2007 წელთან შედარე-  
ბით. ადგილობრივი განაცხადებისათვის  
სტაბილური მატების პერიოდი მხოლოდ  
2006 და 2007 წლებს მოიცავს. 2005 და  
2008 წლებში კი განაცხადების რაოდე-  
ნობა მცირდება და 2008 წელს ყველაზე  
უფრო დაბალ ნიშნულზე ჩამოდის.

საქპატენტში შემოტანილი განაცხადე-  
ბის რაოდენობის ქვეყნების მიხედვით  
განაწილების დინამიკის საილუსტრა-  
ციოდ შერჩეულ იქნა იმ ქვეყნების მო-  
ნაცემები, რომელთაგან შემოსული და  
2004–2008 წლების მიხედვით განაცხადე-  
ბის გასაშუალებული რაოდენობა არ იყო  
საერთო რაოდენობის 1%-ზე ნაკლები.

the total quantity of foreign applica-  
tions (the sum total of applications filed  
directly with Sakpatenti and international  
applications) increased continuously from  
2004 to 2007, and in 2008 it decreases  
by up to 24% as compared with 2007.  
The period of stable growth of the num-  
ber of local applications covers only 2006  
and 2007. As regards 2005 and 2008,  
the number of applications decreases and  
reduces to the lowest index in 2008.

With the purpose of illustrating dy-  
namics of breakdown according to the  
countries of the applications filed with  
Sakpatenti, data of the countries were  
selected from where the quantity of  
applications filed and averaged according



როგორც ქვეყნების მიხედვით განაწილების სურათი გვიჩვენებს, უცხოელი განმცხადებლებიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ამერიკელები, რომელთა განაცხადების რაოდენობა 2004 წლიდან მოყოლებული უწყვეტად იზრდებოდა 2007 წლამდე, და თუმცა 2008 წელს შემოსული განაცხადების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა (2007 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა), მაგრამ საგრძნობლად გადააჭარბა სხვა ცალკეული ქვეყნიდან შემოსული განაცხადების რაოდენობას და საერთო რაოდენობის 23% შეადგინა. ამასთან, დანარჩენი ქვეყნების (ძირითადად ევროპის ქვეყნების) განმცხადებელთა აქტიურობა წინა წლების დონეზე დარჩა.

2008 წლის მონაცემებით უცხოელ განმცხადებლებს შორის ფრანგი განმცხადებლები 20 განაცხადით (საერთო რაოდენობის 4%) მეორე ადგილზე არიან. ამასთან, ადგილობრივმა განმცხადებლებმა 222 განაცხადი შემოიტანეს, რაც საერთო რაოდენობის 48%-ს შეადგენს.

უცხოელ განმცხადებლებს შორის დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ შემდეგი კომპანიები:

LES LABORATOIRES SERVIER	(FR);	NEW TRANSDUCERS LIMITED	(GB);
INTERDIGITAL TECHNOLOGY CORPORATION	(US);	IMPERIAL CHEMICAL INDUSTRIES PLC	(GB);
PFIZER PRODUCTS INC.	(US);	RHONE-POULENCE RORER S.A	(FR);
BIOGEN IDEC MA INC.	(US);	PHARMACIA ITALIA S.P.A.	(IT);
PFIZER INC.	(US);	AZIENDE CHIMICHE RIUNITE ANGELINI	(IT).
BRISTOL-MYERS COMPANY	(US);	NOVARTIS AG	(CH)
ATTENUON, LLC	(US);	TAKEDA PHARMACEUTICAL COMPANY LTD	(JP)
WARNER-LAMBERT COMPANY LLC	(US);	PFIZER LTD	(GB)
PHARMACIA CORPORATION	(US);	SEDA S.P.A.	(IT)
BASF Aktiengesellschaft	(DE);	EXELIXIS, INC.	(US)
ALTANA Pharma AG	(DE);	MERCK & CO, INC.	(US)
PHARMACIA & UPJOHN COMPANY	(US);	RICHTER GEDEON NYRT	(HU)
GLAXO GROUP LIMITED	(GB);		

to 2004-2008 was not less than 1 % of the total number.


As the general picture of breakdown according to the countries shows, among the foreign applicants the most active were applicants from the USA. From 2004 to 2007 the amount of their applications was on the increase, whereas in 2008 the number of filed applications decreased considerably (almost by half, as compared with 2007). However, it exceeded significantly the number of applications filed from other separate countries and made 23% of the total number. The activity of the applicants from other countries (mainly European countries) remained at the level of the previous years.

In 2008 French applicants with 20 applications (4% of the total amount) occupy the second position. Along with this, the number of local applications was 222, which is 48% of the total amount.

Of the foreign applicants most active were the following companies:

2004–2008 წლებში შავიზანთი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით  
 NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2004–2008 ACCORDING TO BRANCHES

	2004		2005		2006		2007		2008	
A	68	27%	68	31%	74	31%	75	30%	76	34%
B	40	16%	34	15%	28	12%	48	20%	41	19%
C	30	12%	34	15%	39	17%	30	12%	20	9%
D	1	1%	3	1%	3	1%	0	0%	0	0%
E	19	8%	7	3%	12	5%	23	3%	36	16%
F	51	21%	40	18%	47	20%	42	17%	47	20%
G	21	8%	21	9%	21	9%	20	8%	20	9%
H	18	7%	18	8%	12	5%	10	4%	19	9%
სულ TOTAL	248		225		236		248		222	




ადგილობრივი განაცხადების დარგების (საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილების) მიხედვით განაწილების ანალიზიდან ჩანს, რომ გამოგონებათა ყველაზე მეტი რაოდენობა კვლავინდებურად A განყოფილების შესაბამის დარგებზე (მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა) მოდის და საერთო რაოდენობის დაახლოებით 34%-ს შეადგენს. ყველა სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფი განეკუთვნება B (19%), F (16%), C (9%), G (9%) და H (9%) განყოფილებათა შესაბამის დარგებს (საერთო დანიშნულების ხერხები და მოწყობილობები; შიგანვის ძრავები, ძალური დანადგარები, ჰიდრავლიკური მანქანები და ძრავები, გრავიტაციული, ინერციული და მათი მსგავსი ძრავები, მანქანათა კვანძები და დეტალები; ქიმია და მეტალურგია, ბიოქიმია, ლუდი,

The analysis of the data corresponding to the breakdown of local applications according to the branches (Sections of the International Classification) demonstrates that the largest quantity of inventions was again in the branches corresponding to Section A (medicine and veterinary; food and foodstuffs; agriculture) and is on average 34% of the total amount.

Other important groups belong to the respective branches of B(19%), F(16%) and C(9%) and H(9%) sections (apparatus in general; combustion engines, propulsion units, hydraulic machines and engines, weight, inertia and like motors, engineering elements and units; chemistry and metallurgy, biochemistry, beer, spir-

2004–2008 წლებში შემოტანილი უსსოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით  
NUMBER OF FOREIGN APPLICATIONS FILED IN 2004–2008 ACCORDING TO BRANCHES

	2004		2005		2006		2007		2008	
A	93	44%	83	33%	75	25%	94	30%	68	28%
B	7	4%	12	5%	7	2%	16	5%	22	9%
C	79	38%	114	46%	136	46%	112	35%	117	49%
D	0	0%	0	0%	0	0%	0	0%	0	0%
E	6	3%	2	1%	4	1%	8	3%	9	4%
F	8	4%	4	1%	6	2%	5	2%	6	2%
G	3	1%	5	2%	9	3%	17	5%	7	3%
H	13	6%	30	12%	62	21%	64	20%	12	5%
სულ TOTAL	209		250		299		316		241	



ატკოპოლიანისასმელები, ტვინო; ფიზიკა და ელექტრობა) და რჩება დაახლოებით იმავე დონეზე. დანარჩენი დარგების შესაბამისი განაცხადების რაოდენობა კი უმნიშვნელოა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ C განყოფილების შესაბამის დარგებთან (ქიმია და მეტალურგია) დაკავშირებული განაცხადთა რაოდენობამ წინა წელთან შედარებით დაახლოებით 33%-ით დაიკლო მაშინ, როდესაც H განყოფილების შესაბამისი დარგის, კერძოდ, ტელეკომუნიკაციის დარგს მიუთვრებული განაცხადების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა.


ადგილობრივისაგან განსხვავებით, უცხოურ გამოგონებათა უმეტესობა მიუთვრება C განყოფილების შესაბამის დარგებს (49%), მათ შორის დიდი უმრავლესობა (დაახლოებით 90%) სხვა წლების მსგავსად ისევ წარმოადგენს ფარმაკოლოგიაში

its, wine; physics and electricity) and remain at about the same level. The quantity of applications with respect to other branches is insignificant. It should be noted that the number of applications linked with respective branches of Section C section (chemistry and metallurgy) decreased by approximately 33% as compared with the previous year, whereas the number of applications belonging to Section H, namely, telecommunications branch, almost doubled.

In difference from the local, most of the foreign inventions belong to the respective branches of Section C (49 %) and the majority of them (approximately 90 %), as in previous years, represent

2004–2008 წლებში რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა  
 NUMBER OF PATENTS ENTERED IN THE REGISTER IN 2004–2008

	2004		2005		2006		2007		2008		
ადგილობრივი	136	51%	190	60%	142	50%	130	48%	141	47%	LOCAL
უცხოური	11	4%	7	2%	12	4%	25	10%	28	9%	FOREIGN
საერთაშორისო	122	45%	123	38%	133	46%	116	42%	128	44%	INTERNATIONAL
სულ	269		320		287		271		297		TOTAL



გამოსაყენებელ ორგანულ ნივთიერებებს.

რაც შეეხება A განყოფილებას, მისი წილი შეადგენს 28%-ს, რომელშიც ძირითადი ისევ მედიცინაა – დაახლოებით 90%. აქვე უნდა აღინიშნოს ტელეკომუნიკაციის დარგს მიკუთვნებული უცხოური განაცხადების რაოდენობის მკვეთრი შემცირება

2008 წელს საქპატენტის მიერ გაცემულია 297 პატენტი გამოგონებაზე, ამასთან აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ განმცხადებლებზე გაცემული პატენტების რაოდენობა შეადგენს საქპატენტში გაცემული პატენტების საერთო რაოდენობის 47%-ს, ხოლო უცხოელ განმცხადებლებზე გაცემული პატენტების რაოდენობა კი შესაბამისად – 43%-ს.

2008 წელს საქპატენტში, როგორც „მიმღებ უწყებაში“, შემოტანილ იქნა 7 საერთაშორისო განაცხადი, ამ განაცხადების მდგომარეობა 2008 წლის 1-ლი იანვრისათვის ასეთია:

- საქმისწარმოება საწყის ეტაპზეა – 6
- დაბრუნებულია საფასურის გადაუხდელობის გამო – 1.


organic substances used in pharmacology.

As to the Section A, its portion makes 28 %, mainly in medicine again – about 90 %. The sharp decrease of the foreign applications, belonging to telecommunications branch, should also be mentioned here.

In 2008 Sakpatenti granted 297 patents for inventions. It is also noteworthy that the patents granted to local applicants 47% of the total quantity of the patents granted by Sakpatenti, and the number of the patents granted to foreign applicants is 43% of the total quantity.

In 2008 6 international applications were filed with Sakpatenti as the “receiving office”. The status of these applications for 01.01.2009 is the following:

- proceeding has begun for 6 applications;
- application is returned due to nonpayment for 1 application.



# სასარგებლო მოძიება


## UTILITY MODELS

საქართველოში სასარგებლო მოძიებაზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია განაცხადის წარდგენით უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში "საქპატენტი" საქართველოს საპატენტო კანონის შესაბამისად ან საერთაშორისო ბიუროში საერთაშორისო განაცხადის წარდგენით საპატენტო უოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად.

The exclusive right in a utility model in Georgia may be acquired under the Patent Law of Georgia by filing an application directly with the National Intellectual Property Centre Sakpatenti or by filing an international application with the International Bureau under the Patent Cooperation Treaty (PCT).

2004–2008 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა  
NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2004–2008

	2004		2005		2006		2007		2008		
ადგილობრივი	112	96%	103	100%	118	100%	97	98%	110	94%	LOCAL
უცხოური	2	2%					2	2	3	3	FOREIGN
საერთაშორისო	2	2%									INTERNATIONAL
სულ	116		103		118		99		116		TOTAL




გამოგონებებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელებზე განაცხადების შეტანა პრაქტიკულად მხოლოდ ადგილობრივი განმცხადებლების მიერ ხდება და წლების მიხედვით მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 100-სა და 120-ს შორის მერყეობს. 2008 წელს ადგილობრივმა განმცხადებლებმა შემოიტანეს 110 განაცხადი, რაც დაახლოებით 17%-ით მეტია 2007 წელს შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობაზე, ხოლო უცხოეთიდან მხოლოდ 6 განაცხადი შემოვიდა, საიდანაც 3 განაცხადი იყო PCT-ის ხელშეკრულებით.

Unlike inventions, applications for utility models are practically filed only by local applicants and their total number varies within 100 and 120. In 2008 local applicants filed 110 applications, which is approximately 17% more than the quantity of the local applications filed in 2007, whereas only 6 applications were filed from abroad, of which 3 applications were filed under the PCT.

2004–2008 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა ღარების მიხედვით

NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED FOR INVENTIONS IN 2004–2008 ACCORDING TO BRANCHES

	2004		2005		2006		2007		2008	
A	50	41%	50	40%	55	46%	37	38%	50	46%
B	23	19%	20	16%	15	12%	10	12%	10	9%
C	12	10%	15	13%	8	8%	17	17%	17	15%
D	1	1%	1	1%	1	1%	0	0%	2	2%
E	9	7%	9	7%	11	9%	9	9%	14	13%
F	7	6%	14	11%	17	15%	12	12%	6	5%
G	16	13%	9	7%	9	7%	9	9%	9	8%
H	4	3%	6	5%	2	2%	3	3%	2	2%
სულ TOTAL	122	100%	124	100%	118	100%	97	100%	110	100%



როგორც 2004-2008 წლებში ადგილობრივი განაცხადების დარგების (საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილებების) მიხედვით განაწილების მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, სასარგებლო მოდელებზე განაცხადების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის A განყოფილების შესაბამის დარგებზე, როგორცაა: მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა; და მათგან დაახლოებით 90% სამედიცინო დარგს განეკუთვნება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ A განყოფილებაში დარგების მიხედვით შემოტანილი განაცხადების რაოდენობა 38%-დან 46%-მდე გაიზარდა.

სხვა დანარჩენ განყოფილებებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა 2007 წელთან შედარებით:

- მნიშვნელოვნად გაიზარდა განყოფილების შესაბამის დარგებში (მშენებლობა, სამთო საქმე);
- უმნიშვნელოდ გაიზარდა D განყოფილების შესაბამის დარგებში (საფეიქრო ნაწარმი);
- შემცირდა B, C, F, G და H განყოფილებების შესაბამის დარგებში (ტექნოლოგიური პროცესები; ქიმია, მეტალურგია, შიგანვის ძრავები, ძალური დანადგარები, ჰიდროავლიური მანქანები და ძრავები, გრავიტაციული, ინერციული და მათი მსგავსი ძრავები, მანქანათა კვანძები და დეტალები; ფიზიკა და ელექტრობა).

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა განაცხადი წარმოდგენილი იყო ფიზიკური პირის მიერ.

2008 წელს სასარგებლო მოდელებზე გაიცა 74 პატენტი, რაც 2007 წელის მონაცემებთან შედარებით 9%-ით ნაკლებია.

As the analysis of the relevant data of the breakdown of local applications according to branches (Sections of the International Classification) in 2004-2008 show, the largest quantity of applications for utility models was in the branches corresponding to Section A: medicine or veterinary; food or foodstuffs; agriculture, and of these about 90% belong to medicine. It should also be noted that the quantity of applications filed in the branches of this Section increased from 38% to 46%.

The number of applications filed in other sections as compared with 2007 is the following:


- increased considerably in branches of Section E (building and mining);
- slightly increased in Section D (textiles);
- reduced in Sections B, C, F, G and H (performing operations; chemistry, metallurgy, combustion engines, propulsion units, hydraulic machines and engines, weight, inertia and like motors, engineering elements and units; physics and electricity).

It is also noteworthy that all the applications were filed by physical persons.


In 2008 74 patents were granted for utility models, which is 9% less as compared with data of 2007.

2004–2008 წლებში რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა  
 NUMBER OF PATENTS ENTERED IN THE REGISTER IN 2004–2008

	2004		2005		2006		2007		2008		
ადგილობრივი	104	100%	68	96%	93	99%	80	99%	72	97%	LOCAL
უცხოური			3	4%			1	1%	2	3%	FOREIGN
საერთაშორისო					1	1%					INTERNATIONAL
სულ	104		71		94		81		74		TOTAL







# საბრუნველო ნიმუშები

## INDUSTRIAL DESIGNS

საქართველოში სამრეწველო ნიმუშზე განსაკუთრებული უფლების მოპოვების მიზნით, განმცხადებელს შეუძლია საქართველოს საპატენტო ჯანონის შესაბამისად, განაცხადი უშუალოდ წარადგინოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ "საქპატენტი" (ეროვნული პროცედურა) ან, ჰააგის შეთანხმების შესაბამისად, სამრეწველო ნიმუშის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე მოითხოვოს დაცვის უფლებების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელება (საერთაშორისო პროცედურა).

2008 წლის განმავლობაში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში განსახილველად შემოტანილ იქნა 366 განაცხადი სამრეწველო ნიმუშზე, რაც დაახლოებით გოლია 2007 წელს შეტანილი განაცხადების რაოდენობისა. აქედან: ეროვნული პროცედურით შემოტანილ იქნა 55 (38 ადგილობრივი და 17 უცხოური) განაცხადი, რაც დაახლოებით 2007 წელს შემოტანილ განაცხადების რაოდენობის გოლია.

მხოლოდ საერთაშორისო პროცედურებით 5 საქართველოზე დაცვის გავრცელება მოთხოვნილი იყო 311 საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე (დაახლოებით იგივე, რაც 2007 წელს), ეს

In order to acquire the exclusive right in an industrial design in Georgia, under the Patent Law of Georgia, an applicant may file an application directly with the National Intellectual Property Centre of Georgia Sakpatenti (national procedure) or under the Hague Agreement on the basis of international registration of an industrial design may request extension of protection to the territory of Georgia (international procedure).


In 2008 366 applications for industrial designs were filed with Sakpatenti under the national and international procedures, which is about the same as the number of the applications filed in 2007. Of these, 55 applications (including 38 local and 17 foreign ones) were filed under the national procedure, which is about the same as compared with the quantity of applications filed in 2007.

The extension of protection to Georgia was requested only under the international procedures on the basis of 311 registrations, which is approximately the same as compared with 2007 and in

2004–2008 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოში დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა

NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA IN 2004–2008

		2004		2005		2006		2007		2008			
ეროვნული პროცედურა		45		46		43		56		55		NATIONAL PROCEDURE	
გატ შორის	აღმოსავლეთი	33	10%	36	11%	25	6%	41	13%	38	10%	LOCAL	AMONG THEM
	უცხოური	12	4%	10	3%	18	5%	15	4%	17	5%	FOREIGN	
საერთაშორისო პროცედურა		272	86%	284	86%	342	89%	309	85%	311	85%	INTERNATIONAL PROCEDURE	
სულ		317	100%	330	100%	385	100%	365	100%	366	100%	TOTAL	



ქი რეალურად 1111 განსახილველ სამრეწველო ნიმუშს შეადგენდა.

2004–2008 წლებში საქპატენტში განაცხადების ეროვნული პროცედურით შემოტანისა და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე განსახილველად სამრეწველო ნიმუშების მიღების დინამიკა გვიჩვენებს, რომ განსახილველად მიღებული სამრეწველო ნიმუშების საერთო რაოდენობის როგორც 2004–2006 წლებში ზრდა, ისე 2007 წელს მისი შემცირება საერთაშორისო პროცედურით განსახილველად მიღებული ნიმუშების ზრდისა და შემცირების ხარჯზე მოხდა.

ეროვნული პროცედურით შემოსული უცხოელი განმცხადებლების 17 განაცხადი ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

- აშშ – 8;
- ავსტრია – 4;

fact included 1111 industrial designs to be considered.

The dynamics of industrial designs filed with Sakpatenti for consideration under the national procedure and on the basis of the international registration in 2004–2008 shows that the increase of the total number of industrial designs received for consideration in 2004–2006 as well as its decrease in 2007 were due to the growth and decrease of the quantity of designs received under the international procedure.

The breakdown according to countries of the 17 applications filed by foreign applicants under the national procedure is as follows:

- USA – 8;
- Austria – 4;

- იაპონია – 2;
- ჩინეთი – 1;
- ბელორუსია – 1;
- კორეის რესპუბლიკა – 1.

2004–2008 წლებში საქპატენტში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმრავლესობა წარმოადგენს ობიექტებს, რომლებიც განეკუთვნება მე-9 კლასს (ტარა, საფუთავები, ჯონტეინერები), რომლებიც გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის. თუმცა იყო ისეთი ობიექტებიც, როგორიცაა: ავეჯი, სამკაული, სამშენებლო ელემენტები, ჯვების პროდუქტები, სატრანსპორტო და სარეკლამო საშუალებები და სხვ.

საერთაშორისო პროცედურით საქართველოზე უფლებათა გავრცელების მოთხოვნით განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტად ჯვლავ რჩება საათები და მათი საკუთნო, საიუველირო ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები, და ჯვლავ განსაკუთრებით აქტიურობენ განმცხადებლები შვეიცარიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან.

- Japan – 2;
- China – 1;
- Belorussia – 1;
- Republic of Korea – 1.

The analysis of the local applications filed with Sakpatenti in 2004–2008 demonstrates that their majority are objects belonging to Class 9 (tare, packing, containers) for the transport or handling of goods. Objects such as furnishing, articles of adornment, building units and construction elements, foodstuffs, means of transport and advertising equipment, etc. were also of interest.

Priority objects of protection with the request of the extension of the rights to Georgia under the international procedure again were watches and their accessories, jewellery, means of transport and their parts and applicants from Switzerland, Germany and France remained especially active.



# სასაქონლო ნიშნები

## TRADEMARKS

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება საქართველოში ხორციელდება ორი გზით: “სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს ჯანონის შესაბამისად განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში საქპატენტში წარდგენით (ეროვნული პროცედურა) ან ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმების ოქმის თანახმად სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე აღძრული დაცვის საქართველოზე გავრცელების მოთხოვნით (საერთაშორისო პროცედურა).


2008 წლის განმავლობაში როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 5410 სასაქონლო ნიშანი, რაც 9.4%-ით მეტია 2007 წლის მაჩვენებელზე. აქედან ეროვნული პროცედურით შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობამ შეადგინა 759 (37%-ით მეტი წინა წელთან შედარებით), უცხოურმა განაცხადებმა – 700 (15.7%-ით მეტი წინა წელთან შედარებით), ხოლო საერთაშორისო პროცედურით საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით შემოსული განაცხადების

The exclusive right in trademarks may be obtained in Georgia in two ways: under the Law of Georgia on Trademarks, by filing an application directly with the National Intellectual Property Centre Sakpatenti (national procedure) or by a request to extend the protection obtained on the basis of the international registration under the Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks of a trademark to Georgia (international procedure).

In 2008 5410 trademarks in total were filed with Sakpatenti for consideration both under the national and international procedures, which is 9.4% higher than the 2007 data. Of these 759 applications (by 37% more in comparison with the previous year) were local applications filed under the national procedure, 700 were foreign applications (15.7% more as compared with 2007, whereas the extension of protection to Georgia under the

2004–2008 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დასვინს გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა  
 NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING  
 EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 2004–2008

		2004		2005		2006		2007		2008			
ეროვნული პროცედურა		758	24%	1026	26%	1110	25%	1158	23%	1459	27%	NATIONAL PROCEDURE	
ათ შორის	ადგილობრივი	368	11%	508	13%	401	9%	553	11%	759	14%	LOCAL	AMONG THEM
	უცხოური	390	12%	519	13%	709	16%	605	12%	700	13%	FOREIGN	
საერთაშორისო პროცედურა		2461	77%	2898	74%	3362	75%	3786	77%	3951	73%	INTERNATIONAL PROCEDURE	
სულ		3219		3925		4472		4944		5410		TOTAL	



რაოდენობამ შეადგინა 3951 (4.4%-ით მეტი წინა წელთან შედარებით).

როგორც 2004–2008 წლებში განაცხადების საქპატენტიში შემოტანის დინამიკიდან ჩანს, საერთაშორისო და ეროვნული პროცედურებით საქპატენტიში შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობა უწყვეტად იზრდება მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს ადგილი ჰქონდა შემოსული ადგილობრივი, ხოლო 2007 წელს ეროვნული პროცედურით შემოსული უცხოური განაცხადების უტეხას (კერძოდ, ადგილობრივისა 21%-ით და უცხოურისა 15%-ით). ამასთან, შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობის ზრდის ფარდობითი მაჩვენებელი 2004 წლის მაგების 17,9%-დან უტეხულობს 2008 წლის მაგების 9,4%-მდე, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შემოსული განაცხადების საერთო რაოდენობა გაჯერების

international procedure was requested for 3951 trademarks (4.4% more than the previous year).


As the dynamics of filing applications with Sakpatenti in 2004–2008 shows, in the given period the total number of the applications filed with Sakpatenti under the international and national procedures increases continuously. However, the number of local applications decreased in 2006, and that of foreign applications filed under the national procedure – in 2007 (in particular, local applications – by 21%, and foreign – by 155). Along with this, the relative index of the total number of filed applications decreases from 17.9% index of increase of 2004

**SAKPATENTI**

2004–2008 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 2004–2008 ACCORDING TO COUNTRIES

ქვეყნები COUNTRY	2004		2005		2006		2007		2008	
DE	539	17%	565	14%	601	13%	674	14%	631	12%
GE	368	11%	508	13%	401	9%	553	11%	759	14%
US	238	7%	398	10%	452	10%	332	7%	492	9%
CH	182	6%	220	6%	313	7%	330	7%	376	7%
RU	174	5%	245	6%	285	6%	311	6%	357	7%
FR	232	7%	250	6%	225	5%	301	6%	256	5%
IT	192	6%	207	5%	280	6%	270	5%	278	5%
TR	135	4%	195	5%	235	5%	174	4%	220	4%
ღანარჩენი OTHER	1161	36%	1342	34%	1680	38%	2002	40%	2041	38%
სულ TOTAL	3221		3930		4472		4947		5410	



ტენდენციას ავლენს.

სასაქონლო ნიშნების დაცვის მოთხოვნით საერთაშორისო ბიუროს შეტყობინებებისა და საქპატენტი მიღებული განაცხადების ქვეყნების მიხედვით განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ შეირჩა იმ ქვეყნების მონაცემები, საიდანაც შემოსული და 2004–2008 წლების მიხედვით გასაშუალებული სასაქონლო ნიშნების რაოდენობა საერთო რაოდენობის 4%-ზე ნაკლები არ იყო. მონაცემებიდან ჩანს, რომ განსახილველ პერიოდში აქტიურობით ყველაზე მეტად ავლავ გერმანელი განმცხადებლები გამოიჩინეს, ამასთან, თუ 2007 წლამდე მათი აქტიურობა

to 9.4% index of increase of 2008, which indicates that the total number of filed applications displays the tendency of saturation.

In order to illustrate the dynamics of breakdown according to countries of notifications of the International Bureau and applications received by Sakpatenti with the request for the protection of trademarks, the data of the countries were selected the number of whose trademarks, averaged for 2004–2008, was no less than 4% of the total amount.

As is obvious from the data, dur-

მონოტონურად მატულობდა, 2008 წელს უკვე აქტიურობის გარკვეული დაქვეითება შეიმჩნევა (2007 წელთან შედარებით გერმანიიდან შემოსული განაცხადების რაოდენობა 6,4%-ით შემცირდა). აშკარად შეიმჩნევა, აგრეთვე, შვეიცარიელი და რუსი განმცხადებლების აქტიურობის მონოტონური ზრდა მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში. 2004 წლიდან პრაქტიკულად სტაბილურ აქტიურობას ინარჩუნებენ ფრანგი, იტალიელი და თურქი განმცხადებლები, რასაც ვერ ვიტყვით ამერიკელ განმცხადებლებზე, რომელთა მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობა წლების მიხედვით საგრძნობლად მერყეობდა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში თავისი აქტიურობით უცხოელ განმცხადებელთა შორის სწორედ ამერიკელი განმცხადებლები იყვნენ ყოველთვის მეორე ადგილზე. საქართველოდან შემოსული განაცხადების დინამიკის გათვალისწინებით კი მხოლოდ 2006 წელს იყვნენ ამერიკელი განმცხადებლები რეალურად მეორე ადგილზე. დანარჩენ წლებში ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა ყოველთვის აჭარბებდა ამერიკელ განაცხადთა რაოდენობას. უფრო მეტიც, 2008 წელს ადგილობრივი განაცხადების რაოდენობამ გადააჭარბა არა მარტო ამერიკიდან, არამედ გერმანიიდან შემოსული განაცხადების რაოდენობასაც.

მხოლოდ 2008 წელს შემოსული განაცხადების რაოდენობის მიხედვით, ადგილობრივი განმცხადებლების შემდეგ (759 ნიშანი) ისევ გერმანელი განმცხადებლები გამოირჩეოდნენ (631 ნიშანი). შემდეგ ადგილზეა: აშშ (492), შვეიცარია (376), რუსეთი (357), საფრანგეთი (256), იტალია (278), თურქეთი (220) და ა.შ.

ქლასების მიხედვით სასაქონლო ნიშნების დაცვის მოთხოვნით საქპატენტი მიღებული განაცხადებისა და საერთაშორისო ბიუროს შეტყობინებების განაწილების


ing the period under review, German applicants were again the most active. At the same time, if before 2007 their activity increased monotonously, in 2008 certain decrease of activity was observable (as compared with 2007, the number of applications filed from Germany decreased by 6.4%). The monotonous increase of the activity of Swiss and Russian applicants was also observable over the entire period under review. Since 2004 French, Italian and Turkish applicants have shown practically stable activity. This is not the case with the US applicants, the number of whose applications varied considerably according to years. At the same time, it is noteworthy that during the entire reporting period exactly American applicants were always on the second position after the German applicants. Taking into account the data linked with local applications, in the period under review only in 2006 US applicants were actually on the second position. In other years the number of local applications always exceeded that of the American applications.

In particular, according to 2008 data, after local applicants, German applicants again remained the most active (631 trademarks), which is followed by USA (492), Switzerland (376), Russia (357), France (256), Italy (278), Turkey (220), etc.

To illustrate the dynamics of breakdown according to classes of applications received by Sakpatenti with the request for protection of trademarks and notifications of the International Bureau,

2004–2008 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართულოზე დაცვის განაცხადების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა კლასების მიხედვით  
 NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 2004–2008 ACCORDING TO CLASSES

კლასი CLASS	2004		2005		2006		2007		2008	
5	982	31%	1111	28%	1173	26%	1515	31%	1522	28%
9	446	14%	473	12%	628	14%	651	13%	737	14%
35	345	11%	433	11%	562	13%	629	13%	826	15%
3	424	13%	430	11%	493	11%	553	11%	616	11%
25	315	10%	370	9%	470	11%	494	10%	600	11%
30	296	9%	449	11%	386	9%	490	10%	535	10%
16	310	10%	317	8%	407	9%	456	9%	468	9%
სულ TOTAL	3219		3925		4472		4944		5410	



დინამიკის საილუსტრაციოდ შერჩეული იქნა კლასები, რომელთა მიმართ დაცვის მოთხოვნით შემოსული და 2004–2008 წლების მიხედვით გასაშუალებული სასაქონლო ნიშნების რაოდენობა ნიშანთა საერთო რაოდენობის 9%-ზე ნაკლები არ ყოფილა.

როგორც გრაფიკებიდან ჩანს, განხილული პერიოდისათვის განმცხადებელთა უმრავლესობის ყველაზე დიდი დაინტერესების ობიექტს კვლავ ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის (ფარმაცევტული, ვეტერინარული და ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.) საქონელი წარმოადგენს. ისევ ჩანს დაინტერესება მე-9 (ელექტრული ხელსაწყოები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.), 35-ე (რეკლამა; ბიზნესის მართვა), მე-3 (პარფიუმერია, კოსმეტიკა, სარეცხი საშუალებები), 25-ე (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი)

those classes were selected the number of trademarks requesting protection to which, averaged for 2004–2008, was no less than 9% of the total amount.

The diagrams show that the goods belonging to Class 5 of the International Nice Classification (pharmaceutical, veterinary and sanitary preparations, etc.) were of special interest to the majority of applicants. The interest also remained in the goods belonging to Class 9 (electrical apparatus, software, etc.), Class 35 (advertising, business management), Class 3 (perfumery, cosmetics, substances for laundry use), Class 25 (clothing, footwear, headgear) and Class 30 (coffee, tea, cocoa; cereals prepared for human



და 30-ე (ყავა, ჩაი, ჯაქაო, და ა.შ.) კლასების საქონლის მიმართ.


მე-5 კლასის საქონლისადმი დიდია ინტერესი (1522 ნიშანი; 28,1%) 2008 წელსაც, დანარჩენი კლასები კი მათ მიმართ გამოვლენილი დაინტერესების მიხედვით

consumption, pastry and confectionery, etc.).

The great interest in the goods of Class 5 (1522 trademarks; 28.1%) remained in 2008 too. The interest in

2004–2008 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით  
NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2004–2008 ACCORDING TO CLASSES

კლასი CLASS	2004		2005		2006		2007		2008	
5	128	35%	189	37%	117	29%	155	28%	306	40%
33	91	25%	131	26%	80	20%	107	19%	71	9%
35	33	9%	70	14%	76	19%	110	20%	181	24%
32	56	15%	82	16%	65	16%	61	11%	59	8%
30	35	10%	55	11%	49	12%	78	14%	68	9%
43	28	8%	41	8%	46	11%	76	14%	89	12%
41	43	12%	30	6%	42	10%	55	10%	70	9%
29	29	8%	48	9%	61	15%	48	9%	52	7%
36	9	2%	30	6%	31	8%	50	9%	107	14%
სულ TOTAL	368		508		401		553		759	



ასე დალაგდა: 35-ე (826 ნიშანი – 15,3%), მე-9 (737 ნიშანი – 13,6%), მე-3 (616 ნიშანი – 11,4%), 25-ე (600 ნიშანი – 11,1%), 30-ე (535 ნიშანი – 9,9%) და ა.შ..

ადგილობრივი განაცხადების მონაცემთა ანალიზი ანალიზი გვიჩვენებს, რომ უცხოელ მენარმეთა მსგავსად, ქართველ მენარმეთათვისაც 2004–2008 წლებში უპირატესი დაინტერესების ობიექტი უცვლელია და ესაა მე-5 კლასს მიეუთვნებული (ფარმაცევტული, ვეტერინარული და

other classes was as follows: Class 35 (826 trademarks – 15.3%), Class 9 (737 trademarks – 13.6%), Class 3 (616 trademarks – 11.4%), Class 25 (600 trademarks – 11.1%), Class 30 (535 trademarks – 9.9%), etc.

Similar analysis of local applications demonstrated that, similar to foreign applicants, in 2004–2008 Georgian entrepreneurs show stable interest in goods

ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.) საქონელი. ყველა სხვა კლასს მიეუთვნებული საქონლის მიმართ დაინტერესების დონე კი ცვალებადია წლების მიხედვით. ასე, მაგალითად, 2004-2005 წლებში აშკარად იყო გამოკვეთილი ქართველ მენარმეთა დაინტერესება საქართველოსათვის ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტების მიმართ, როგორიცაა ღვინო და სპირტიანი სასმელები (33-ე კლასი) და მინერალური წყლები (32 კლასი). მომდევნო წლებში კი სულ უფრო მატულობს ინტერესი ისეთი საქონლისა და მომსახურებების მიმართ, როგორიცაა სარეკლამო და ბიზნესის მართვის მომსახურება (35-ე კლასი), საკვები პროდუქტებითა და დროებითი საცხოვრებლებით უზრუნველყოფის მომსახურება (43-ე კლასი) და ყავა, ჩაი, ჯაჯაო, ფქვილი და მარცვლოვანი პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი (30-ე კლასი). გარდა ამისა, ჩნდება გარკვეული დაინტერესება, აგრეთვე, 29-ე და 41-ე კლასებს მიეუთვნებული საქონლისა და მომსახურების მიმართ.

2008 წლის მონაცემებით კი საქონლისა და მომსახურების მიმართ ადგილობრივ განმცხადებელთა მხრიდან გამოვლენილი ინტერესის დონის მიხედვით მე-5 (306 განაცხადი – 40%) და 35-ე (181 განაცხადი – 24%) კლასები უკვლავ პირველ და მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ. დანარჩენი კლასები კი ასეთი თანამიმდევრობით განლაგდა: 36-ე (107 განაცხადი – 14%), 37-ე (95 განაცხადი – 13%), მე-3 (93 განაცხადი – 12,4%), 43-ე (89 განაცხადი – 12%), 33-ე (71 განაცხადი – 9%), 41-ე (70 განაცხადი – 9%), მე-16 (70 განაცხადი – 9%), 30-ე (68 განაცხადი – 9%) და ა.შ.

2008 წელს საქპატენტში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობათა საფუძველზე საქართველოს რეგიონების აქტიურობის მიხედვით დალაგებული პირველი 7 რეგიონი შემდეგია: თბილისი (29), ბათუმი (22), ყვარელი

belonging to Class 5 (pharmaceutical, veterinary and sanitary preparations, etc.). The interest in goods belonging to other classes varies from year to year. Thus, in 2004-2005 the pronounced interest of Georgian entrepreneurs in strategically important products for Georgia, such as wines and spirits (Class 33) and mineral waters (Class 32) was obvious. In subsequent years, interest has increased in goods and services, such as advertising and business management (Class 35), services for providing food and drink and temporary accommodation (Class 43) coffee, tea, cocoa and cereals prepared for human consumption, pastry and confectionery (Class 30).

The 2008 data show that according to the interest in goods and services of various classes shown by local applicants, Class 5 (306 applications – 40%), and Class 35 (181 applications – 24%) remained on the first and the second positions. The interest in other classes was as follows: Class 36 (107 applications – 14%), Class 37 (95 applications – 13%), Class 3 (93 applications – 12.4%), Class 43 (89 applications – 12%), Class 33 (71 applications – 9%), Class 41 (70 applications – 9%), Class 16 (70 applications – 9%), Class 30 (68 applications – 9%), etc.

On the basis of the quantities of local applications filed with Sakpatenti in 2008, the first 7 regions of Georgia according to their activity are as follows: Tbilisi (29), Batumi (22), Qvareli (11), Kutaisi (10), settlement Akhlagori (9), Telavi (5),

(11) ქუთაისი (10), დაბა ახალგორი (9) თელავი (5), ბორჯომი (4).


წინამდებარე ანგარიშში მოცემულია, აგრეთვე, მონაცემები, რომლებიც ასახავს 2004-2008 წლებში სასაქონლო ნიშნებისათვის დაცვის მინიჭების პროცესში სხვადასხვა მახასიათებლების დინამიკას. საქპატენტი ნიშნების შეტანისათ-

Borjomi (4).

The data reflecting the dynamics of various characteristics in the process of granting protection to trademarks in 2004-2008 are also given in the report. The features already established for the filing process of trademarks with Sakpatenti

2004–2008 წლებში რეგისტრირებული და დაცული ნიშნების რაოდენობა  
რაგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა  
NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA  
ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2004–2008

		2004		2005		2006		2007		2008			
ეროვნული პროცედურა		430	19%	605	21%	795	24%	940	23%	874	20%	NATIONAL PROCEDURE	
აღმართული პროცედურა	აღმართული	151	7%	251	9%	325	10%	301	7%	361	8%	LOCAL	AMONG THEM
	უცხოური	279	12%	354	12%	470	14%	639	16%	513	12%	FOREIGN	
საერთაშორისო პროცედურა		1846	81%	2333	79%	2425	76%	3176	77%	3532	80%	INTERNATIONAL PROCEDURE	
სულ		2276		2938		3220		4116		4406		TOTAL	



ვის უკვე დადგენილი თავისებურებები დაცვის მინიჭების ამსახველ გრაფიკებში დაახლოებით 1-1,5 წლიანი დაგვიანებით ვლინდება, ანუ ინაცვლებს დროის იმ შედეგით, რომელიც საქპატენტი შესული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისა და რეგისტრაციისათვის არის საჭირო.


2008 წლის მონაცემებით სასაქონლო ნიშნების რეესტრში დარეგისტრირდა

were reflected in the diagrams showing granting of protection about 1-1.5 year later. This means that they moved by the period of time which is required to take the final decision on granting of protection and registration of a trademark filed with Sakpatenti.

According to 2008 data, 874 trademarks were recorded in the Register

2004–2008 წლებში რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით  
 NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2004–2008 ACCORDING TO COUNTRIES

ქვეყნები COUNTRY	2004		2005		2006		2007		2008	
DE	468	21%	508	17%	455	14%	590	14%	655	15%
US	109	5%	224	8%	360	11%	425	10%	321	7%
GE	151	7%	251	9%	327	10%	305	7%	370	8%
CH	227	10%	188	6%	184	6%	301	7%	312	7%
FR	212	9%	224	8%	245	8%	202	5%	272	6%
IT	145	6%	189	6%	169	5%	246	6%	264	6%
RU	135	6%	159	5%	187	6%	242	6%	288	7%
TR	80	4%	137	5%	150	5%	229	6%	177	4%
დანარჩენი OTHER	749	33%	1056	36%	1143	35%	1576	38%	1747	40%
სულ TOTAL	2276		2938		3220		4116		4406	



874 სასაქონლო ნიშანი, აქედან 361 ადგილობრივი მფლობელის, ხოლო 513 – უცხოელი მფლობელის სახელზე. საერთაშორისო პროცედურით დაცვა მიენიჭა საქართველოზე გავრცელებულ 3532 ნიშანს.

2008 წელს რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება: გერმანია – 655 ნიშანი (15%), აშშ – 321 (7%), შვეიცარია – 312 (7%), საფრანგეთი 272 (6%) რუსეთი – 288 (7%), იტალია – 264(6%), უნგრეთი 206 (5%) თურქეთი – 177 (4%).

რაც შეეხება რეესტრში შეტანილი ადგილობრივი ნიშნების რაოდენობას, იგი

of Trademarks, of these 361 in the name of local and 513 – of foreign owners. 3532 trademarks, extended to Georgia, were granted protection under the international procedure.

The quantity of trademarks entered in the Register and protected in Georgia on the basis of international registration in 2008, according to countries is the following: Germany – 655 trademarks (15%), USA– 321 (7%), Switzerland – 312 (7%), France – 272 (6%), Russia – 288 (7%), Italy – 264 (6%), Hungary (206 (5%), Turkey – 177 (4%).

The breakdown according to regions

რეგიონების მიხედვით ასე განაწილდა: თბილისი – 302 ნიშანი (83,6%), ქუთაისი – 13 (3,6%), თელავი – 8 (2,2%), ბორჯომი 6 (1,7%), რუსთავი – 5 (1,4%) და ა. შ.

1998 წელს ეროვნული პროცედურით რეგისტრაციაში გატარდა 3361 სასაქონლო ნიშანი. ამ ნიშნებისათვის შემდგომი 10 წლით რეგისტრაციის ვადის გაგრძელება მოდიოდა 2008 წელზე. რეალურად მოქმედების ვადა გაუგრძელდა მხოლოდ 2390 ნიშანს, ანუ მოქმედება შეწყვიტა 1998 წელს დარეგისტრირებული ნიშნების დაახლოებით 28,9%-მა.

2009 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ძალაში მყოფი სასაქონლო ნიშნების საერთო რაოდენობამ 37402-ს მიაღწია. წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს მოქმედი სასაქონლო ნიშნების რაოდენობას მათი ძალაში

of the local trademarks entered in the Register is the following: Tbilisi – 302 trademarks (83.6%), Kutaisi – 13 (3.6%), Telavi – 8 (2.2%), Borjomi – 6 (1.7%), Rustavi – 5 (1.4%), etc.


In 1998 3361 trademarks were registered under the national procedure. In 2008 it was necessary to extend the term of validity of these trademarks registration by a consecutive period of 10 years. In reality, the term of validity of only 2390 trademarks were extended, i.e. about 28.9% of trademarks registered in 1998 were not renewed.

The total number of valid trademarks by January 1, 2009, reached 37402. The diagram shows the quantities of valid

2004–2008 წლებში რეგისტრირებული და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით

NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2004–2008 ACCORDING TO CLASSES

კლასი CLASS	2004		2005		2006		2007		2008	
5	629	28%	893	30%	929	29%	1057	26%	1279	29%
9	332	15%	454	15%	378	12%	562	14%	617	14%
3	310	14%	410	14%	371	12%	455	11%	503	11%
35	279	12%	331	11%	338	10%	509	12%	572	13%
30	309	14%	264	9%	363	11%	386	9%	400	9%
25	202	9%	302	10%	303	9%	427	10%	468	11%
16	257	11%	282	10%	270	8%	375	9%	417	9%
სულ TOTAL	2276		2938		3220		4116		4406	



ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით. დი-  
აგრამაზე ცალ-ცალკეა გამოყოფილი ნიშ-  
ნები, რომლებიც რეესტრში ეროვნული  
პროცედურით იქნა შეტანილი და ნიშნე-  
ბი, რომლებსაც დაცვა საერთაშორისო  
პროცედურის შესაბამისად მიენიჭა. ძალა-  
ში ყოფნის ათწლიანი ხანგრძლივობის  
მქონე საერთაშორისო პროცედურით  
დაცული სასაქონლო ნიშნების შედარე-  
ბითი სიმცირე შეიძლება აიხსნას იმით,  
რომ საქართველო ნიშნების საერთა-  
შორისო რეგისტრაციის ოქმს 1998 წლის  
აგვისტოში მიუერთდა და, შესაბამისად,  
შედარებით მცირე იყო საერთაშორისო  
რეგისტრაციის საფუძველზე საქპატენტში  
შემოსული ნიშნების რაოდენობაც.

2008 წელს ნიშნების საერთაშორისო  
რეგისტრაციის მადრიდის ოქმით  
საქართველოდან საერთაშორისო ბი-  
უროში გაიგზავნა 8 განაცხადი, ხოლო  
2000 წლიდან 2009 წლის პირველი იან-  
ვრისათვის კი სულ – 70 განაცხადი. იმავე  
2009 წლის პირველი იანვრის მდგომარე-  
ობით საერთაშორისო დაცვა მიენიჭა 70  
ნიშანს. საინტერესოა, რომ 2000–2006  
წლების მონაცემებით ქართველ განმცხა-  
დებელთა დიდ უმრავლესობას ღვინისა  
და სპირტიანი სასმელების მწარმოე-  
ბლები შეადგენდნენ მაშინ, როდესაც  
2007 წელს საერთაშორისო ბიუროში  
გაგზავნილი ცხრამეტივე ნიშანი ფარმა-  
კოლოგიური პროდუქციისათვის არის  
გათვალისწინებული. 2008 წელს გაგზავ-  
ნილი 5 განაცხადი ფარმაკოლოგიური  
ნაწარმისთვისაა, ორი – მე-9, 35-ე და 36-ე  
კლასებისათვის, ერთი კი – 33-ე და 35-ე  
კლასებისათვის.


trademarks as to the term of validity.  
The trademarks recorded in the Regis-  
